33
1920/09
ფასი 6 მ.
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეშმაკის მათრახი



№ 12
1920 წ.
თებერვლის 8

სენატორთა რევიზია.

სახლში მოდიან რევიზორები
და „ნივთიერი“ მოაქვთ „საბუთი“:
კომბოსტო, ფქვილი, ბატი, ღორები-
თითო რევიზორს—ტვირთი

19552

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათომში*).

ხუთი წელიწადი სრულდება, ბატონებო, რაც მე ბათომში არ ვყოფილვარ.

მართალი მოგახსენოთ, ამ ხუთი წლის განმავლობაში, შემთხვევაც კი არ მიძებნია აქ ჩამოსვლისა.

არავინ იფიქროს, თითქო ბათომი არ მიყვარდეს და მისთვის გავურბოდე მის ნახვას. პირიქით, სწორედ იმიტომ არ ჩამოვდიოდი აქ, რომ მე, როგორც ყოველსავე ქართველ კაცს, თავდავიწყებით მიყვარს ბათომი.

ხოლო ქართველი კაცის სიყვარული ბათომისადმი—ეს თქვენ ჩემზე კარგათ მოგეხსენებათ—თამამად შეგვიძლია შევადაროთ ტარიელის სიყვარულს ნესტან დარეჯანისადმი.

თუ ამ შედარებას მეც შემიფარდებთ, ტარიელსა და ჩემ შორის მხოლოდ იმ განსხვავებას იპოვით, რომ ტარიელი, გაიგო თუ არა, რომ მისი ნესტან-დარეჯანი ქაჯეთის ციხეში იყო დატყვევებული, დაუყონებლივ გაექანა მის დასახსნელად, თქვენი მორჩილესი მონა კი, მიუხედავათ იმისა, რომ მისი ნესტანიც, ე. ი. ბათომიც, ტყვე-ქმნილი იყო, არც კი დაძრულა სატრფოსაკენ.

ეს იმიტომ რომ ტარიელს შესწევდა ძალი ნესტანის დახსნისათვის, ხოლო მე, აქ რომ ჩამოვსულიყავ, უმწეოდ უნდა მეცქირა ჩემი მიჯნურის ტანჯვისთვის და ამ ცქერით საკუთარი ტანჯვაც მემრავლებია...

მაგრამ, როგორც ჰხედავთ, ბატონებო, ბოლოს მაინც წამოვედი აქა და, უნდა გამოგიტყდეთ, წამოვედი დიდის ხალისითა და ცნობის-მოყვარეობით.

დღეს ბათომი დიდი-ბრიტანეთის ქალაქი გახლავთ, აქ ჯერ-ჯერობით ინგლისია, ხოლო ინგლისის ნახვა სიყრმიდანვე ნატვრად და ოცნებად მქონდა გადაქცეული. დღეს ბედმა ისე გამიღიმა, რომ ეს ცხრამთას იქითა ქვეყანა აგერ ჩამომიტანეს „ყურის ძირში," როგორც გურულები იტყვიან, და აბა გული როგორ მომითმენდა, რომ ჩემი სიყრმის ოცნება არ შემესრულებია და დიდი ბრიტანეთის სანახავად არ წამოვსულიყავ!

გარდა უბრალო ცნობისმოყვარეობისა, აქეთ გამომგზავრებისას, მე ვხელმძღვანელობდი აგრეთვე ნამდვილ სახელმწიფოებრივ თვალსაზრისსაც:

მოგეხსენებათ, ჩვენი რესპუბლიკა ჯერ სულ ნორჩი, თითქმის ფეხ-აუდგმელი ბალღია და სახელმწიფოს შენება და უფლებრივი ნორმების გამტკიცება მხოლოდ ეხლა იწყება საქართველოში. ხოლო აქ, ინგლისში, „ადამიანის უფლებათა ქვეყანში და თავისუფალ მრეწველობის სამშობლოში" ბევრი რისამე შესწავლა და შეძენა შეუძლია ჩვენისთანა გამოუცდელი სახელმწიფოს შვილს.

ამის გამო დიდ მადლობას მოვახსენებ დღევანდელ „საღამოის" გამმართველებს, რომელთაც ჩემი აქ, ინგლისში, მოწვევა ინებეს და საშუალება მომცეს მაღალ-კულტუროსანი დიდი ბრიტანეთის მართვა-გამგეობის წესების შესწავლისა. ჩემმა დღევანდელმა მასპინძლებმა ამით იმოდენა ამაგი დამდეს მეც და ჩემს სამშობლოსაც, რომ, გაძლევთ პატიოსან სიტყვას, მზადა ვარ დავივიწყო ის საყინულე ვაგონი, რომელშიაც მათ თავაზიანათ მოგვათავსეს თბილისში და რომლიდანაც აქ, ბათომში ჩვენ, დღევანდელი „საღამოის" მონაწილენი, ყინულის ჩურჩხელების სახით გამოგვიტანეს და შემდეგ, მოსაბრუნებლად და გასალღობად, ფურნეში შეგვაწყეს საღამომდე. ღმერთმა შეუნდოსთ მათ ეს მცირე შეცოდება

დამერწმუნეთ, ბატონებო: ინგლისისა და მისი წესწყობილების გაცნობა იმდენათ საჭირო და სასარგებლოა, იმდენათ მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ქართველებისთვის, რომ ამის გულისთვის თამამად შეგვიძლია ათიოდე ქართველი კაცი ყინულის ჩურჩხელებად ვაქციოთ და დიდ მიზნისათვის ესოდენ მცირე მსხვერპლი გავიღოთ.

დღეს ეს მსხვერპლი სავსებით ანაზღაურებულია: მე დაწვრილებით შევისწავლე დიდი ბრიტანეთის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ვითარება, შევადარე აქაური წესები ჩემი სამშობლო ქვეყნის წყობილებას და მინდა ამ შედარების ზოგიერთი შედეგი თქვენც გაგიზიაროთ:

მოგეხსენებათ, ბატონებო, რომ ჩვენს ჩამორჩენილ სამშობლოში საადმინისტრაციო თანამდებობას აძლევენ ყველა შესაფერ პირს, განურჩევლად ეროვნებისა. სავალდებულოა მხოლოდ რესპუბლიკის ერთგულება.

აქ კი, კულტუროსან დიდ ბრიტანეთში, ადმინისტრატორად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ რუსი ტომით. სავალდებულოა, რომ ეს რუსი იყოს ნიკოლოზის ტახტის აღდგენის მოტრფიალე, საქართველოს დაუძინებელი მტერი და თვით ინგლისის ორგული.

ველურ საქართველოში საზოგადოებრივ აზრის და ხალხის ნებისყოფის გამომჟღავნება ხდება მხოლოდ საყოველთაო არჩევნების საშუალებით.

აქ კი, განათლებულ ინგლისში, ხალხის აზრი და ნებისყოფა მჟღავნდება და აშკარა ხდება მხოლოდ პოგრომების საშუალებით.

საქართველოში ტრიალებს და სავალდებულოა მხოლოდ ქართული ფული.

აქ კი, დიდ ბრიტანეთში, აქაური მმართველების მეოხებით, სავალდებულოა არა დიდი ბრიტანეთის ფული (ინგლისელები არც ისე ეგოისტები არიან რომ თავიანთი „გირვანქებით" დაამძიმონ ხალხი), არამედ

---

*) თქმული ბათომის საზოგადო საკრებულოს დარბაზში გასულ იანვარის 27-ს, ნინოობა დღეს, „საღამოზე."

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ-არსებული სახელმწიფოს ფული, ე. ი. დონის ფული. და ეს დონის ფული ტრიალებს აქ მანამ, სანამ, დაბოლოს, ვაჭრები, შესახვევ ქაღალდის სიძვირის გამო, თვით ამ დონის ფულებში არ იწყებენ გაყიდულ საქონლის შეხვევას.

გაუნათლებელ საქართველოში საყოველთაო სწავლებაა შემოღებული და სკოლის შენობები ეთმობა ყველა ეროვნების მოწაფეთ, განურჩევლად გვარტომობისა.

წარჩინებულსა და მაღალკულტუროსან ინგლისში კი, ე. ი. აქ, სწავლის მიღება შეუძლია მხოლოდ რუსის ბავშვებს, ამასთანავე თითო მოწაფეზე უნდა მოდიოდეს არა ნაკლებ ორ-ორი საკლასო ოთახისა. თუ არ დავივიწყებთ, რომ აქაური, ბათუმელი, რუსები, განსაკუთრებულის გულმოდგინებით აფუჭებენ და შხამავენ ჰაერს, სრულიადაც არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ მათ ბავშვებს ორ-ორი საკლასო ოთახი სჭირია თითოს...

ასეთი გახლავთ, ბატონებო, მოკლედ ის წესები, რომელიც აქ, დიდ ბრიტანეთში ყოფილა გამეფებული. მე ფრიად სამწუხაროდ მიმაჩნია ის გარემოება, რომ ჩვენი ჩამორჩენილი ქვეყანა არა თუ ჯერაც არ არის მზად ასეთი წესების შემოსაღებათ, ვერასოდეს ვერ მიაღწევს კულტურის იმ წვერვალს, რომ შესაძლო გახდეს დიდი ბრიტანეთის ასეთი საოცარი წყობილების დამყარება.

მართალი უნდა მოგახსენოთ, რომ ეს უცნაური წესწყობილება ბათომსაც ვერ ეგუება ეგრე რიგად და მე მაგონდება ერთი ჩვენი ანდაზა, რომელიც მინდა აქაურ ინგლისელებსაც მოვახსენო.

ჩვენში იტყვიან, მიბარებული მგელმა შეინახაო. მართალია, დიდი ბრიტანეთი მგელი არ არის მაგრამ, დარწმუნებული ვარ, სამართლიანობაში მგელს არ ჩამოუვარდება. მაშ ბარემ დაგვიბრუნოს დროებით მიბარებული ჩვენი ბათუმი, ხოლო ის წესები, აქ რომ გაუმეფებიათ, დეე, ლონდონსა და მანჩესტერში შემოიღონ. ჩვენ კი, მოდით, ამ ჩვენ ბათომში, ისევ ჩვენი ჩამორჩენილი ქვეყნის წესებისა და კანონების მიხედვით ვიცხოვროთ.

თაგუნა

გურული სცენა

(ტელეფონი)

— მომეცით პატარაუსტის გასტინიცა ვორიანტ.

— ნომერი მიბძანეთ ბატონო.

— ნომერი არ ვიცი, თვარა ქე გეტყოდი.

— მაშ კარგი, ქალს მოგცემთ და ის გეტყვით ნომერს.

— ბატონო, ქალი ერთი ქე მყავს, ქარ-მეხმა დაანგრია მისი გამომცემელი და მოორე რა ეშმაკათ მინდა?

— თქვენ ვერ მიხვდით ბატონო, უფროსი ქალი, ე. ი. სტარშს მოგცემთ, რომელმაც ყველა ტელეფონის ნომრები იცის...

— ხოოო, უკაცრავათ, შენი ჭირიმე. მე მეგონა მოორეჯელ მიპირობდით ცოლის შერთვას.

— უფროსი ქალი მზად გახლავთ.

— უფროსი ქალი ხარო?

— დიახ.

— მომეცით ორიანტის გასტინიცა.

— სტანციაში დარეკეთ და სთხოვეთ 2-61.

— ბატონო, სტანციიდანძე თვითონ ელაპარიკოს, აგერ მამა ჩამოუვიდა გურიიდან ჩემს აფხანაკს, მისი შვილი ვორიანტში მსახურობს და იგი მინდა დევიბარო აქანე.

— ვ ცენტრალნუიუ პოზვონიტე, ი პროსიტე 2-61

— ხოო, მერსი, მერსი, მივხდი, ბატონო მივხვდი.

— მომეცით 2-61.

— მზად არის... მოითმინეთ, მოითმინეთ დაკავებულია.

— რაითაა დაკავებული?

— ტელეფონი ბატონო, არ სცალია.

— მევიცთი, მარა აბა კი მეჩქარება, აწი პოეზი ჩამოდგებოდა, პასაჟირებს ვეშჩი უნდა ოუტანო...

— მზად გახლავთ თქვენი ნომერი.

— მადლობა ღმერთს. ატკუდა, გოსტინიცა ვორიანტ?

— ნეტ, ნეტ, ეტო დომ უმალიშონიხ.

— რას ვერ იშოვნი კაცო?

— უმალიშონიხ... სუმაშედშიხ...

— სუმაშეჩიც ხარ და ერთიც მეტი... დავაი ატბოი.

— ბატონო, მომეცით 2-61.

— მზად არის.

— მადლობთ.

— ატკუდა? ჰა? ატკუდა? კუდი მოგძვრა შენ ვინცახარ. ჰა?

— პრიომნი პაკოი ბალნიცი არამიანცა...

— ვაი შენ დაგექცა ვოჯახი.

— ჩტო?

— ნიჩევო, ატბოი დავაი.

— ცენტრალნი? ცენტრალნი? მაგი რააშბავია, ბატონო, ჩემს თავზე, ჩემს მეტი ვერაკაცი ვერ ნახე სასიცილო? ახლა მანდა მაინც მინისტერი უნდა ვიყო, რომ კარგათ მიქნათ საედინენიე?

— უკაცრავად ბატონო, რა ჩემი ბრალია, ძალიან ცუდათ ისმის, აი მზად გახლავთ ორიანტი და ელაპარაკეთ.

— უკაცრავად, თქვეენთან ახლა აღარ მინდა, ჯერ იყო და გიჟებში გამაგზანეთ, მერე არამიანცის ბალნიცაში, აწი მგონი კუკიის სასაფლავოზედაც მალე გამაგზანით, ამდონხანს ჩავცდებოდი პერვი ნომერში, მივიდოდი და გამევიდოდი კიდეც. აღარ მინდა, ამისთანა ტელეფონს ბალნობისას მეც ქე ვაკეთებდი ძაფით და სპიჩკის კოლოფით...

რ. ჯიბილ.

მთარგმნელისაგან.

მე განვიზრახე ბალმონტის შესანიშნავი პოემის თარგმნა. მაგრამ განა შესაძლებელია რისამე თარგმნა? განა შესაძლებელია აღდგენა ხაზებით, თუნდა ფერით ცოცხალი სახისა?.. სერვანტესი ამბობს, რომ ყოველი თარგმანი ჰგავს მოქარგულ ქსოვილის სარჩულს. შელლი ამბობს, რომ პოეზიაში რისამე თარგმნის რახვა ეს იგივეა, რომ გსურდეს იის სურნელება მიიღო და ამისათვის ია სადნობ ქურაში ჩააგდო. ეს ასეა. მაგრამ არის ქსოვილი ორივ მხრით მშვენიერი და ტყის იასთან ერთად ჩვენ გვაქვს ხელოვნურად შეზავებული სურნელები იისა. შეიძლება თარგმნა ძნელი იყოს. იქნება ეს შეუძლებელიც არის, მაგრამ ძველი ბრძენები ამბობდნენ:—„შეუძლებელი მე მომწონს", „მიყვარს და ლევა შეუძლებლისა".

ბალმონტის პოემა დატვირთულია რითმებით: ყოველი სტრიქონი ორჯერ რეკავს. ქართულ თარგმანში ხშირად შინაარსის სისწორე მსხვერპლად ეწირება რითმათა რეკას. მაგრამ პოეზიაში უმთავრესი მნიშვნელობა აქვს არა შინაარსს,არამედ მუსიკალურ სიტყვათა ექვნისებურ წკრიალს.

მატარებელი ავაზის ტყავისა.

შესავალი.

მან, ვინც შექმნა ზეცა სრული, მან, ვინც ცხადყო მალა ბრძნული,—
უსხეულო მოგვცა სული,—ეს ქვეყანაც ჩაგვაბარა.
ვულობთ უსაზღვროს და მადლიანს, მრავალფერს და მაინც მთლიანს,
ჰგავს თუნდ მეფე ადამიანს —საქმით იგი ღმერთს ედარა.

ღმერთმა შექმნა მთა და ბარი, ყოვლი სახე მისგან არი,
მსურს შევიქმნე ტრფობით მჯნარი, დავეწაფო ვნების წყაროს.
ღმერთო, ვნებით დავითვერი! მსურს ბოლომდის შორის ცქერით,
გულის ტვირთი თეთრ ჩამღერით გადავზიდო ხხვა სამყაროს.

ლომს, ვინც იცნობს ხმალს ელვარეს, ფარს და შუბით რხეულ არეს,
მას, ვისი თმა ტვერს აღარეს, ბაკ-ბადახშს, მას-თამარსა.
მას ლალ-მიწის ჩუქურთმებით და შავი თმის აშუქებით
ზე აღვავლენ ხშირის ქებით, შევუერთებ ციურ არსსა.

ვეფხის ტყაოსანი.

შესავალი.

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი, სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე, სახითა მის მიერითა.

ჰე ღმერთო, ერთო, შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა!
შენ დამიფარე, მძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა,
მომეც მიჯნურთა სურვილი,—სიკვდიდმდე გასატანისა,
ცოდვათა შემსუბუქება,—მუნ თანა წასატანისა!

ვის შვენის ლომსა ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა,
მეფისა მზის თამარისა ღაწვ-ბადახშ-თმაგიშერისა,
მას, არა ვიცი, შევკადრო შესხმა ხოტბისა შერისა!
მისთა მჭვრეტელთა ჟანდისა მირთმა ხამს მართ მიშერისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავლება უნდა ბონებსა, თუ კაცი მოიგონებსა!

„ეშმაკის მათრახის“ რედაქციას მილიციის უფროსმა მკაცრი განკარგულება გამოუგზავნა:

„მას შემდეგ რაც თქვენი სათნო და უწყინარი ჟურნალი მოეკლინა ჩემდამი რწმუნებულ ქალაქს, ყოველ შაბათობით, შემდგომად მისი გამობრძანებისა, თბილისის ქუჩებში იწყება საოცარი არევ-დ-რევა და აყალ-მაყალი. მოქალაქენი, განუ-ჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სქესისა და ასაკისა, ისწრაფიან რა სხვებზე ადრე შეიძინონ ახალ გამობრძანებული ნომერი თქ ენი ჟურნალისა,



თავს ესხმიან ჟურნალის გამყიდველებს, ხელიდან სტაცებენ ერთმანეთს ნომრებს და ამ ნიადაგზე ხშირად დიდი შეტაკება და სისხლის ღვრაც ხდება ხოლმე. ამის გამო იძულებული ვარ, გაძლიერებული რაზმი ვიყოლიო შაბათობით თბილისის ქუჩებში, რაიც იწვევს ზედმეტ ხარჯს ფულისას და ენერგიისას. უმორჩილესი თხოვნით მივმართავ „ეშმაკის მათრახის“ ღრმათ პატივცემულ რედაქციას, კეთილ ინებოს და გაგვაგებინოს მიზეზი ზემორე მოხსენებულ სამწუხარო მოვლენისა“.

ჩვენ—ეშმაკი, თაგუნა და მხატვარი ა. ზ.— დიდ საგონებელში ჩაგვაგდო მილიციის უფროსის წერილმა, მოელი სამი თვის განმავლობაში ვეძებეთ ამ მოვლენის მიზეზი და მაოლოდ მე 12-ე ნომერზე მივაგენით მას:

— **ჟურნალის საზღაპრო სიიაფე**— აი მიზეზი იმ სამწუხარო მოვლენათა, რომლის შესახებ ბ. მილიციის უფროს გვწერდა.

ვინაიდან ჩვენი ჟურნალის ფინანსთა მინისტრი გააფრთხილებით შეებრძოლა ჟურნალის გაძვირების საკითხს, ჩვენ იძულებული გავხდით მოგვეწყო ჯოჯოხეთური შეთქმულების გეგმა მის წინააღმდეგ. უპირველეს ყოვლისა, მოვახერხეთ და რაღაც სამი დღის განმავლობაში ერთი სამათ გავაძვირებინეთ ყოველ გვარი საქონელი თბილისის ვაჭრებს. შემდეგ შევუჩნდით სატარიფო პალატას და გავაყვანინეთ 60 პროცენტიანი მომატება რესპუბლიკის ყველა მოხელეებისა და მუშების ჯამაგირებისა. შემდგომად ამისა ჩვენ წარვგზავნეთ ფინანსთა მინისტრის წინაშე ჩვენ ჟურნალზე მომუშავენი განსაკუთრებულის მოთხოვნილებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკი ამ ლონისძიებამაც არ გასჭრა, ფინანსთა მინისტრის წინაშე წარვსდექით ჩვენც და გადაჭრით მოვითხოვეთ ჯამაგირების გაორკეცება. ფინანსთა მინისტრი მაინც ცხელ უარზე დადგა და მოგვთხოვა, დაწვრილებით დასაბუთება ჩვენი მოთხოვნილებისა:

ფინანსთა მინისტრი. ბატონებო! თქვენ მოითხოვთ ჯამაგირების გაორკეცებას. ეს ლიტონი მოთხოვნაა წინადადებას გაძლევთ, დაასაბუთოთ ფაქტების საშუალებით, რომ, ეხლანდელი ჯამაგირები თქვენთვის საკმარისი არ არის.

ჩვენ. მოწყალეო ხელმწიფევ! ნუ თუ თქვენ არ მოგეხსენებათ, რომ ის დრო წავიდა, როდესაც ყოველსავე მოთხოვნილებას დასაბუთება ესაჭიროებოდა? **ჩვენ მოვითხოვთ!**—მორჩა და გათავდა! განა ამაზე უკეთესი დასაბუთება კიდევ შეიძლება?.

მინისტრი. მე ძალიან ვწუხვარ, რომ თქვენც საერთო ფეხის ხმას აჰყოლიხართ. ჩვენ შორის ინტერესთა წინააღმდეგობა არც ისე ღრმა არის, რომ საქმის მორიგებით გათავება შეუძლებელი იყოს. ნუ ინებებთ ჯიუტობას და დაგვესურათეთ თქვენი მოთხოვნილება.



მაშინ ჩვენ გადავუშალეთ მას წინასწარ დანამზადებული სურათები და მოვახსენეთ:

ჩვენ. როგორ ფიქრობთ, ბატონო მინისტრო: იქნება თუ არა ჩვენი ყურნალის ლირსების შესაფერი, რომ მისმა თანამშრომლებმა ქვეითად იარონ მაშინ, როდესაც ყველა დაწესებულებათა მოხელეები ავტომობილებით და ეტლებით» დასეირნობენ.

მინისტრი. ეს საბუთი სავსებით მისაღებია.

ჩვენ. მაშ უნდა მიიღოთ მხედველობაში, რომ ეტლით სეირნობა ღირს საათში 500 მანეთი, ხოლო თუ ნორმალურად ვისეირნებთ—5 საათს დღეში—მოგვინდება 2500 მან.

მინისტრი. მართალია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ. ძვირფასო მინისტრო! როგორ გგონიათ, საჭიროა თუ არა თქვენი ჟურნალის პრესტიჟისათვის, რომ მისი თანამშრომლები თუნდაც 3 საათს დღეში ბანოვანთა დევნას ანდომებდენ მაშინროდესაც რესპუბლიკის ყველა დანარჩენი მოღვაწეები და მოხელეები ამ საქმეს 7—8 საათს ანდომებენ დღიურად.

მინისტრი. სამართლიანი საბუთია!

ჩვენ. მაშ ნუ დაივიწყებთ, რომ ამ მოვალეობის შესრულების დროს ჩვენ გვიცვდება ფეხსაცმელები, ხოლო წყვილი ფეხსაცმელი, თუ პროტექციით და მეგობრობით ვერ შეიძინე, 6000 მანეთად ღირს.

მინისტრი. ჭეშმარიტებაა!

ჩვენ. როგორ ფიქრობთ, პატივცემულო მინისტრო: განა სამართლიანი იქნება, რომ ჩვენს თანამშრომლებს თითო ფინჯანი ყავაც არ მოეძეოდეს სახლში მაშინ, როდესაც ყველა მოხელეები და მოღვაწეები დილიდან საღამომდე ყავა-ხანაში ატარებენ დროს.

ნინისტრი. მაგ საბუთის წინააღმდეგ ჩემი ენა სდუმს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ. განა დიდ ფუფუნებად უნდა ჩაეთვალოს, საყვარელო მინისტრო, თქვენი ჟურნალის მესვეურებს, რომ ერთი ფარატინა ნებართვა იშოვონ აზერბეიჯანში შაქრის გასატანად და ამით ოჯახი მოასულიერონ?.

მინისტრი. აბა მაგის წინააღმდეგ ვის რა უნდა ეთქმოდეს?

ჩვენ. ეხლა თქვენ თითონ გასაჯეთ: პირდაპირ სამინისტროდან ჩვენ ნებართვას არავინ მოგვცემს, მაშასადამე იძულებული ვართ ბირჟაზე შევიძინოთ იმ პირისაგან, რომელსაც შეუძლია სამინისტროდან მისი გამოტანა. ასეთი ნებართვა კი, როგორც თქვენ თითონ ჩვენზე უკეთ მოგეხსენებათ, ჯდება არა ერთი და ორი ათასი.

მინისტრი. სრული სიმართლეა!

ჩვენ. ბევრს არ მოგახსენებთ: ნუთუ კვირაში ერთ ხელმაინც არ უნდა შეიკრიბნენ „ეშმაკის მათრახის" თანამშრომლები ბანქოს თამაშში ტკბილად დროს გასატარებლად, მაშინ როდესაც ყველა მოხელეები და მოღვაწეები ყოველ ღამეს ათენებენ ასეთ გონიერ გასართობში?

მინისტრი. აბა რა ბრძანებაა! ვინ გიჟი დაგიშლისთ ასეთ უმანკო დროს გატარებას!.

ჩვენ. ბანქოს თამაში უმთავრესად ბედის საქმეა, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ყველა მოთამაშე, როგორც ამ სურათიდანაც სჩანს, მარტო ბედს არ ეყრდნობა. ამის დაგვარად ამ მოულოდნელი ხარჯებისათვის 5000 მანათი კვირაში მაინც უნდა ვიანგარიშოთ. ჩვენ არ გვინდა ეს ფული რედაქციის კასიდან ფარულად გავიტანოთ, როგორც ეს ხდება ხოლმე საზოგადოთ და აშკარად მოვითხოვთ მას

მინისტრი. კეთილი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ. მადლობა ღმერთს, ბატონო მინისტრო, ჩვენა და თქვენ მაჰმადიანები არა ვართ, რომ ღვინის სმა ავიკვეთოთ მაშინ, როდესაც მთელი ჩვენი დამოუკიდებელი რესპუბლიკა განუწყვეტლივ ქეიფის საშუალებით ივიწყებს წარსულ უბედურებას და მომავალ ბედნიერებას.

მინისტრი. ღმერთმა დაგვიფაროს მაგ აზრისაგან!

ჩვენ. მაშ თუ ეგრეა, ხომ მოგეხსენებათ, რა ღირს ახლანდელ დროში ბოთლი ღვინო, ერთი წვადი, ერთი შოთი, ერთი კონა ტრახუნა და დუდუკის ერთი აკვნესება?

მინისტრი. მესმის, მესმის!

ჩვენ. თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, მეგობარო, რომ „ეშმაკის მათრახი" საკათალიკოსო საბჭოს ორგანო არ გახლავთ, ხოლო მისი თანამშრომლები ბერ-მონოზნები არ არიან და მათაც სჭირიათ ქეიფის შემდეგ სათანადო დროს გატარება ისე, როგორც ყველა ჩვენ მოღვაწესა და მოხელეს.

მინისტრი. ბავშვი ხომ არა ვარ, ეგ უბრალო რამე ვერ შევიგნო!

ჩვენ. მაშ თუ ეგრეა, თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, რა ხარჯი სჭირია ასეთ გატარებას.

მინისტრი. რასაკვირველია!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩვენ. იმედი გვაქვს, ამხანაგო მინისტრო, რომ თქვენ ეჭვს არ შეიტანთ ჩვენს ქართველობაში. ქართველი კაცი ბუნებით მებრძოლია, როგორც ეს ჩვენმა სამხედრო მინისტრმა აღნიშნა. ბრძოლა მას ყველა ნიადაგზე ეხერხება, განსაკუთრებით კი — რომანიულზე. მაშ რა გასაკვირალია, რომ ჩვენც, ზემოხსენებულ ქიეფის შემდეგ. რომანიულ ნიადაგზე მცირე უსიამოვნება მოგვიხდეს ერთმანეთში და მილიციონერის თანხლებით კომისარის წინაშე წარვსდგეთ!.

მინისტრი. ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენაა!

ჩვენ. ეხლა წარმოიდგინეთ, რომ ჩვენ ვერ მოვახერხეთ ოქმის გამოსყიდვა და იგი დაიბეჭდა როშელიმე გაზეთში.

მინისტრი. ეს ხომ თავის მოჭრა იქნებოდა ჩვენი ჟურნალისათვის!

ჩვენ. მაშასადამე, გთხოვთ ეს ხარჯიც მიიღოთ **სახეში.**

მინისტრი. დიდის სიამოვნებით!

ჩვენმა შეურყეველმა საბუთებმა სძლია მინისტრის „ჯიუტობა.“ მოწვეულ იქმნა საგანგებო სხდომა ამ საგნის განსახილველად და შემდგომად ხანგრძლივი თათბირისა და ანგარიშისა, დადგენილ იქმნა:

„ზემოხსენებულ ხარჯების დასაფარავად **მოგმავალ მეცამეტე ნომრიდან „ეშმაკის მათრახი“ გაიყიდოს თითო ცალი 10 მანეთად.**

რა შედეგი მოჰყვა ჟურნალის გაძვირებას, ამას მკითხველი დაინახავს შემდეგ ნომერში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირე მოსაზრებანი დიდ საკითხზე.

ცუდათ ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება.

არასოდეს ჩემი კაცნიერება ასე შორს არ წასულა. არ ყოფილა შემთხვევა, თავისი სუსტი ძალღონით ოდესმე ასეთ რთულსა, იდუმალებით მოცულსა და ბუმბერაზ საკითხს მოვსჭიდებოდი.

დღეს კი რა მოხდა? რას შევსწირე ჩემი ხიმორცხვე, სიჩუმე და გაუბედაობა?

პასუხი მოკლე და ნათელია:

ჩვენი თავისუფალი რესპუბლიკის კეთილდღეობას, მის მომავალ ბედ-იღბალს.

მე არ მოვითხოვ ჩემი გულითადი ძვირფასი მამულისაგან, ეს ხანგრძლივი და მძიმე შრომა დამიფასოს, ჩვენ ყველანი სამსხვერპლოზე ნებაყოფილობით უნდა ავიდეთ და არა თუ შრომა, არამედ თავი თვისი ზვარაკად მივიტანოთ.

მაგრამ ერთს კი გადაჭრით მოვითხოვ მე ჩემთა თანამემამულეთაგან, მოვითხოვ რომ გზა ჩემ მიერ ნაჩვენები დავიწყებას არ მიეცეს. დაე, არა ერთი და ორი დაეცეს ამ ეკლიან გზაზე, და ასმა და ათასმა შესწიროს მას ძვირფასი დრო, დაუღალავი შრომა, სანეტარო ჯანმრთელობა და უდიდესი მსხვერპლი მსავერპლთა შორის,-სიცოცხლე თვისი, ოღონდ კი გზა იგი ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისა საკმაოდ გაითელოს და ჩვენს მომავალ თაობას ჰქონდეს თვისი მასზე მკვირცხლად და მოხდენილად გამოუქროლდეს.

დიდი საკითხი, რომელსაც მე არა ერთი და ორი უძილო ღამე შევსწირე, რომელიც „იმის" სახესავით თანამდევს ყოველგან და ყოველთვის, გახლავთ საკითხი **აუცილებელი რეფორმებისა თამადობის საქმეში.**

დარწმუნებული ვარ, ყოველი ქართველი ისეთის სიდინჯითა და დაკვირვებით შეხედავს ჩემ მიერ დღიურ წესრიგში წამოყენებულ საკითხს, როგორი დარბაისლური სიდინჯე და დაკვირვებაც შეეფერება თვით საკითხის რთულსა და მრავალ მხრივ მნიშვნელობას.

მთელი თავისუფალი საქართველო გადაიყრუეს რეფორმებზე ლაპარაკით. სწერენ და ლაპარაკობენ სახალხო განათლების რეფორმების შესახებ; სწერენ და მსჯელობენ სასამართლოს რეფორმათა შესახებ; თავგამოდებით ლაპარაკობენ ჯარში მოსალოდნელ რეფორმებზე; ჩვენი აგრარული რეფორმების ნიადაგზე სიმონიკა გოცაძეს ხალხმა არა თუ ლექსი, სიმღერაც კი გამოუთქვა. საფინანსო, საეკლესიო და საადმინისტრაციო რეფორმათა შესახებ სიტყვის გაგრძელებაც მეტია, იმდენი ითქვა და დაიწერა მათ შესახებ.

ჯერ ჯერობით არაფერი თქმულა და დაწერილა მხოლოდ იმ თანადროულ და აუცილებელ რეფორმათა შესახებ, რომელიც დაუყოვნებლივ გატარებულ უნდა იქნას თამადობის, ანუ ტოლუმბაშობის საქმეში.

და მე, თქვენი უმორჩილესი მონა, რომელმაც პირველმა აღვიმაღლე ამ საკითხზე ხმა, ბოდიშს ვიხდი რა დამფუძნებელი კრების წინაშე, საჯაროთ ვაცხადებ, რომ არ ვშვები ამას მარტო სახელისათვის. მე შემეძლო გაცილებით უფრო ადვილათ და გაცილებით უფრო დიდი სახელი სულ სხვა სარბიელზე მომეხვეჭა. მოქმედება ჩემი სრულიად გულწრფელი და უანგაროა.

„საქართველო ხვნა-თესვის, მეურნეობის ქვეყანა არისო" ბრძანებს პატივცემული მინისტრი მიწადმოქმედებისა ნოე ხომერიკი, როდესაც უნდა თავისს უწყებაში რეფორმათა საჭიროების დამტკიცება. და მას უჯერიან.

„ქართველი ხალხი ისტორიულად რაინდი და მეომარი ხალხია; რაინდული გრძნობები მას ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი, მისგან საუკეთესო მებრძოლი გამოვა, უკეთუ"... ასაბუთებს სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე და აღნიშნავს ჯარში რეფორმათა საჭიროებას.

და ასე თითოეული მინისტრი განსაკუთრებულის სისწორითა და სიმარტივით ასაბუთებს მისდამი რწმუნებულ დარგში რეფორმათა აუცილებლობას, სამართლიანი და მიზან შეწონილია მათი ყოველი სიტყვა.

ასევე სამართლიანია, უდავო და მიზანშეწონილი იქნება, თუ მე ჩემი წინადადების დასასაბუთებლად ვიტყვი:—საქართველო, თვით უზენაეს განგების მოწოდებით, ქეიფის ქვეყანაა! ღვინო—ქართველი კაცის სისხლია; სიმღერა,—მისი ენა, ხოლო როკვა მისი სიარულია.

ვინ იქნება მამაცი, ამის წინააღმდეგ ენა მოუბრუნდეს? აბა გამოვიდეს!

— არავინ მოსჩანს.

ან კი ვის შეუძლია დასძრას კრინტი ამ უტყუარი და აშკარა დებულების წინააღმდეგ. სადავოთ შეიძლება გახდეს მისი პირველობა ამ მხრივ სხვა ერთა შორის, რაიც ჩემთვის არამც და არამც საეჭვოს არაფერს შეიცავს, მაგრამ არსებითად დებულება ჩემ მიერ ზემოთ წარმოთქმული ეჭვს გარეშე სდგას.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ასი წლის უცხო ერის გავლენის ქვეშ ყოფნამ ქართველი კაცის ქეიფს საგრძნობლათ სახე უცვალა, თუმცა სრულად მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შერყვნა ვერ მოახერხა. განსაკუთრებული კვალი ამ მხრივ ჩვენს ცხოვრებაში სტუდენტობამ და ოფიცრობამ დასტოვა. არაყით ქეიფი ქართველი კაცის ბუნებრივ მოთხოვნილებას არ შეადგენს. იგი სწორეთ ზემოაღნიშნულ კატეგორიის ჯგუფთა მიერ შემოტანილია ჩვენს ქვეყანაში. ჯერ კიდევ დღესაც, ორი წლის თავისუფალი ცხოვრების შემდეგ, ზოგიერთა ჩვენი წარჩინებული საზოგადო მოღვაწეები არაყით დათრობას ამჯობინებენ, ვიდრე ღვინით. ჩვენის აზრით, ეს უკულმართი ზნე ნაშთია რუსების გავლენისა და სულ ახლო მომავალში არა თუ ქართველი წარჩინებული მოღვაწე, არამედ სრულიად უბრალო მოქალაქეც ღვინით დათრობას მისცემს უპირატესობა. ამის ნიშნებიც უკვე საკმაოდ გვაქვს. ცხოვრება თავის თავად იძულებულ ჰყოფს ქართველ კაცს მან თავისი ბუნებრივი გზა მოიახოს.

ვიდრე ჩემ მიერ აღძრული საკითხის მთავარ ნაწილს, პირდაპირ თანადობას შევეხებოდე, ნება მიბოძეთ ორიოდე სიტყვა ამ სფეროში გამეფებულ ზოგიერთა უკულმართობათა შესახებ მოგახსენოთ.

პირველ ყოვლისა თქვენს ყურადღებას მივაქცევ ღვინის სმის წესრიგს. აქ ლაპარაკი შეეხება მხოლოდ მიღებულ ღვინის რაოდენობას. საზოგადოთ თითქმის ცხოა მეათედი ყველა ქეიფისა, მთავრობის მოწყობილი იქნება ის, თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციებისა, ამ უკულმართ წესს ემორჩილება და ამატომაც მსურს თქვენი განსაკუთრებული ყურადღება მივაპყრო მას.

მიუხედავათ იმისა, რომ პირველი სადღეგრძელო დამსწრეთა შორის უწარჩინებულეს პიროვნებას ეკუთვნის, თვით სასმისი, ამ დროს ღვინის მისაღებათ ხმარებული, ჩვეულებრივი ზომისა არის ხოლმე. რასაკვირველია გამონაკლი აქაც შეიძლება, მაგრამ მე მოგახსენებთ საზოგადოთ გამეფებულ წესებზე.

ბოლოს და ბოლოს, როდესაც სადღეგრძელო ნაყარ-ნაყარ ხალხზე გადადის, თამადა იღებს მეტი სივრცის სასმისს, ზოგჯერ ერთის მაგივრათ ორსა, და სამს, როგორც ეს მოხდა მაგალითად. საქართველოს დამოუკიდებლობის ბანკეტზე ქართულ კლუბში. ჩვენის ღრმა რწმენით ეს შემცდარი ნაბიჯია და ვფიქრობთ არც თუ ნაჩქარ ქართულ ჩვეულებას შეესაბამება იგი. მართალია ასეთი ტაქტიკური ნაბიჯი თანდათანობით აჩკვევს სმას დამსწრე საზოგადოებას, მაგრამ მას აგრეთვე აქვს უდიდესი ნაკლიც. ეი განსაჯეთ: თამადის წმინდა მოვალეობას, როგორც მოგეხსენებათ შეადგენს, მეტი ღვინო დაალევინოს სუფრის წევრებს და ამასთან ერთად ეს მოიმოქმედოს უჭკვიანეულოთ და უდავიდარაბოთ. მოგეხსენებათ, ზეიმის დაწყებისას, მოქეიფეთა შორის დაგროვილი ენერგია ხელუხლებელია და ადვილათ მოერევა ... უბრალო ჭიქას, არამედ უფრო დიდსა და დამაფიქრებელ ჭურჭელსაც, როგორც მაგალითად ეს მოიმოქმედა ზურაბ ზურგიელიძემ, რომელმაც უსუნთქლივ დასცალა ღვინით სავსე ემბაზი თავ სი შვილის, შემდგომად ცნობილ მგოსნის სოლომონის, ნათლობაში.

არ გავაგრძელებ. ჩვენ უნდა უკუ ვაკდოთ გამეფებული წესები და შემოვიღოთ არა თანდათანობითი ზრდა სასმისისა, არამედ თანდათანობითი მისი დამცირება. თუ პირველი სადღეგრძელო, მაგალითად, ტაშტით იქნება მირთმეული, მეორე უბრალო ტაფით უნდა მივიღოთ; შემდეგ გადავიდეთ ბადიაზე, ბადიდან ჯამზე, ჯამიდან ჩაის ჭიქაზე და ასე ბოლომდე.

შეიძლება აქ ჩვენმა დამსახურებულმა თამადებმა თავისი მოსაზრებანი წამოაყენონ და ჩვენ მიერ მოყვანილი დებულებანი გაგვინიავონ; ჩვენ ამაზედაც დიდი მადლობელი ვიქნებით, ვინაიდან გვაინტერესებს პირველ ყოვლისა საქმე და სამშობლოს კეთილ დღეობა. თუკი არსებული ჩვეულებ ის მეოხებით მიღწეულ იქნება ჩემ მიერ დასახული მიზანი, მაშინ თანაამა ვიქნები უბრალო სათითურებით დავიწყოთ და ტაშტით, თუ ემბაზით გავათავოთ ხოლმე სადღეგრძელოები.

მეორე შეუსაბამობა, თუ უკეთ ვსთქვათ უკულმართობა ჩვენი სუფრისა, აგრეთვე ნაყოფი უნდა იყოს რუსეთის გავლენისა, თუმცა ამას გადაჭრით არ ვამტკიცებ. საქმე შეეხება, ბატონებო, თამადის არჩევნების პროცესს. მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ საქმეზე ერთობ დიდი და ძვირფასი დრო იკარგება ხოლმე.

უკეთუ ჩვენ ინგლისელები ვიყოთ, ვისთვისაც „დრო ფულია," მაშინ უფრო ნათლად წამოვიდგენდით ამ ახირებული ჩვეულების მავნებლობას. თითოეული დასახელებული სათამადო კანდიდატი თავის წმინდა მოკალეობათ სთვლის უარი განაცხადოს საპატივო თანამდებობაზე, თუნდაც გული მძლავრად უკრთოდეს თამადობის აცდენის შიშით.

ამის გამო პირველი კანდიდატიდან საზოგადოების თხოვნა გადადის მეორეზე, მეორიდან მესამეზე, იმისგან მეოთხეზე და ასე ამ პატიჟში იმდენი დრო და ენერგია იკარგება, რამდენიც არა ერთისა და ორი კაცის დასათრობათ იკმარებდა.

რით შემოვევლება ამ უბედურებას, მე არ მაქვს საკმაოდ გათვალისწინებული და დარწმუნებული ვარ ამისთვის არც ჩვენს მთავრობას მიუქცევია ჯეროვანი ყურადღება, თუმცა მისთვის სხვა მხრივაც არის საზარალო ასეთ უნაყოფო საქმეზე ამდენი დროს დაკარგვა.

უნდა გამოკიტყდეთ, რომ მთელი ჩემი გამოკვლევა აღძრული რეფორმების შესახებ დამყარებულია უმთავრესად გარეშეთა მოქმედების დაკვირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებაზე და არა პირად განცდაზე. მე ვიცი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პირად გამოცდილებას, რა ძვირფასია იგი ყოველგვარ საქმეში. ამიტომ, თუ დამსახურებული ქართველი თამადები თავისი პირადი გამოცდილების გამოქვეყნებას არ დაიზარებენ, ჩვენი ჟურნალი უეჭველ მზათ იქნება მათ შეძლებისა დაგვარი მასპინძლობა გაუწიოს.

ზემო აღნიშნული უკუღმართობის შესახებ ჩემი პირადი აზრი ასეთია: თუ გვსურს, რომ თამადის არჩევნებზე უბრალო პატივსა და თხოვნაში იმდენი დრო არ დაგვეკარგოს, ეს საქმე რაიმე უფლებრივი ნორმებით უნდა განვსაზღვროთ. სახელდობრ: ისეთ დიდ ერთეულებს, როგორიც არის მთავრობა, (ვგულისხმობთ მის სხვა და სხვა სამინისტროებს) დამფუძნებელი კრება, ჯარი და გვარდია, ქალაქის გამგეობა, ქალაქთა კავშირი, ერობათა კავშირი, კოოპერატივთა კავშირი, წითელი ჯვარი, სენატი, და სხვა და სხვა, უმჯობესია ჰყავდეს თითო ოფიციალური თამადა, თუნდაც განსაკუთრებულის ჯამაგირით. გარწმუნებთ, რომ ფული, რომელიც ამ საქმეზე დაიხარჯება, ასწილ შეიძლება ავინაზღაუროთ დროს მოგებით. რაიცა შეეხება კერძო ოჯახებში მოწყობილ ქეიფებს, ეს შეგვიძლია დავუქვემდებაროთ შრომის ბირჟას, რომელსაც შეიძლება დაეკალოს იყოლიოს ამ საქმისათვის განსაზღვრული რიცხვი უმუშევრად დარჩენილ თამადებისა.

მე მსურდა მივეთითებია კიდევ ჩვენი სუფრის ერთ შეუსაბამო ჩვეულებაზე, რომელიც სრული უარყოფაა შოთას საუკეთესო თქმულებისა: „ლეკვი ლომისა სწორია ძუ იყოს თუნდა ხვადა„— და რომელიც შეეხება სმის დროს სქესთა შორის უთანასწორობას, მაგრამ ჩემი წინასიტყვაობა ერთობ გამოგრძელდა და ამის გამო მასზე იმდენს ვეღარ შეჩერდები, რამდენსაც საკითხის ღირსება მოითხოვს.

მომავალ ნომერში ჩვენ გადავალთ პირდაპირ საგანზე და მეცნიერულ-ისტორიული თვალსაზრისით შეძლებისდაგვარად გავარკვევთ ჩვენ მიერ აღმართულ საკითხს.

ეშმაკი.

გურიაში მოგზაურობა.

საშობაოთ, საკალანდოთ,
ოზურგეთში გიახელი.
ნატანებს და ოზრუგეთს შვა
შარა-გზაა მეტად გრძელი.
წვიმის გამო ჭაობებში
თვით ტალახიც იყო თხელი;
წვიმდა, სთოვდა, მარა ჰავა,
მაინც იყო ერთობ ცხელი.
მზეც და მთვარეც ანათებდა,
მარა იყო მაინც ბნელი
მეეტლეთან წამიყვანა,
ფაეტონი ჰქონდა ძველი;
ოზურგეთში მისი მისვლა
მგზავრებთათვის გახდა ძნელი.
ვერ ვიდოდა აღმართებზე
დამშეული ცხენი ხბელი;
სამაგივროდ თავ დაღმართში
არ სჭიროდა საქონელი;
გზაზე წვიმა მოგვეწია
შევიქენით მისგან სველი;
მერიაში დავისვენეთ
ჩავისველეთ მცირედ ყელი.
ოზრუგეთში რომ შეეედი
ამიკრეფდა ორივ თვალი:
ნაცნობი და უცნობები
ყველა ვნახე დამათვრალი.
მღეროდენ და გაჰკიოდენ
(დაილოცოს ღვინის ძალი)
ან კი რა ქნან? — საზღვარ გარედ
არ აქვს ღვინოს გასავალი;
მოედანზე გავიარე
ორი ვნახე დაუცხრალი;
ერთს კომბალი დაეჭირა
და მეორეს ბასრი ხმალი;
ურთიერთსა შეებრძოლენ
კოლა დარჩა უფრო ძალი;
მთავრობამაც ნება დართო
(ასეთია სამართალი.)
ოზრუგეთზე კიდევ ვიტყვი
ჩემზედ იყოს ამის ვალი;
ოზურგეთს და შემოქმედს შვა
„ტრამ აია“ გაყვანილი
(შემოქმედის ერობასა
მასში უძევს დიდი წილი)
თუ არ არის—სულ—ერთია
ხომ კი არის ეგ სურვილი;
მეც იქითკენ გავეშურე
გზა რა მქონდა იქით ხსნილი.
შემოქმედი მოვიარე
ოფლში ვიყავ განბანილი;
ცხენლის-ხიდზე დავიბარგე
აქ ჰავაა უფრო გრილი...
ცხენლის-ხიდი... მარა ხიდი
აქ არ არის გადობილი;
ნატანების გადარევით
დვაბზუს იქნა ჩატანილი.
და იმ დრომდე არ ამოვა,
სანამ არის აქეთ ძილი;
თვით ერობის მოედანი
ვრცელი არის და გაშლილი;
დარბაზი კი მედიდურად
სართულზეა ატანილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაბათს დილით რადიოთი
მეგობრიდან მომდის ცნობა:
„ყვირას ვახშმად აქ დამირჩი,
თუ გინდაო ჩემი ძმობა“.
და რამექნა, მივატოვე
ქეიფი და ღვინით თრობა;
წამოსვლის დროს ვინახულე
მეგობრები და ერობა,
(მომავალსა ახალ-წლამდინ
ვნახოთ როგორ მოეწყობა)
მატარებელს მისცეს ზარი
(ეგ „პლაცკარტი“ კი არ არი)
მარა არის მაინც ჩქარი;
ელექტრონი შიგ არ არი,
სამაგივროდ არც ფანარი,
ყველას სძინავს, როგორც მკვდარი...
დავინახე ჩემი მტკვარი
და თფილისი განახარი,
ანტანტიდან ნაცნობარი
მისი ტოლი, მხარ-და მხარი.

ისელი.

დეპეშები.

ბანძა. ათი იანვარი ბედნიერი დღეა. უკვე დალამდა და ექიმ ჟორდანიას არც ერთი ავათმყოფი და წარმოიდგინეთ არც ერობის გამგეობის წევრი არ გაულახავს. ამას მთელი სოფელი დაამოწმებს.

აკოსტა.

ოზუგეთი. ავთანდილ ჩამოიარა ჩვენი ბაზარი
მტვრიანი,
ქუჩები აყროლებული, ნაგვიან, ბინძურიანი,
მუნ სამიკიტნო დუქნები მხრჩოლავი გაზებიანი.
ლოუტუნა ლორთა ლაშქარი წამურულ დინგებიანი,
ვერც ძაღლი მოჰკლა, ვერც კატა, ვერცა ვირები
რქიანი
ვერც „პროტოკოლი“ დასწერა მცირედი ჯარიმიანი,
ცხვირ ახვეული დაბრუნდა შინისკენ ბარაქიანი.

ხიკოსეული.

ფოთი ნახუტორის მესაფლავე მღვდელთა პირველი არჩევნები დამთავრდა ყველა კანდიდატების გაშავებით. მამა გიორგი მეორე არჩევნებისათვის ამზადებს ლექციას შემდეგ თემაზე: „მოძღვარი და სქესობრივი საკითხი.„

ამავე არჩევნებისათვის სამღვდელო პორფილე წაიკითხავს მოხსენებას: „დიაკვანი და სტრატეგია.“ დემოკრატიულ წრეებში ამ მოხსენებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

იქიდანვე ქალაქის ღორებმა პირნათლად შეასრულეს თავისი დავალება და გადახნეს დიდი კუნძულის მინდვრები, რომელზედაც ქალაქის გამგეობა მეურნეობის წარმოებას აპირობს. ახლა ჯერ ქალაქის მამებზე მიდგა.

ბუტუნა.

სასკოლო ქრონიკა.

ტფილისის ქალაქის სასკოლო საბჭომ იქონია რა მსჯელობა სტუდენტობის ერთობ შეეიწროებულ მდგომარეობაზე, ერთხმად დაადგინა აღმოუჩინოს მათ ენერგიული დახმარება ქალაქის სკოლებში მასწავლებლად დანიშვნის სახით. სასკოლო საბჭომ აქ საქმეს პედაგოგიურ მხარესაც მიაქცია ყურადღება: ნორჩ მოზარდ თაობას აქტიური მონაწილეობა მიაღებია ამ ფრიად საქველმოქმედო საქმეში წვლილის გაღებით, რათა ამ თავითვე აღიზარდოს მათში **ქველ მოქმედების გრძნობა**

II

ამავე საბჭომ, შეადგინა რა პროგრამები ქალაქის სკოლებისათვის, რომელნიც შიგ გიმნაზიის პროგრამას იტევენ, იქონია მსჯელობა: შესაძლებელია თუ არა ქალაქის დაწყებით სკოლის დასრულების შემდეგ შეგირდი პირდაპირ უმაღლეს სასწავლებელში მოხვდეს, და დაასკვნა, რომ ეს შესაძლებელია, ვინაიდან ქალაქის სკოლის კურსის გავლის შემდეგ ახალი პროგრამებით, საშუალო საფეხურის სასწავლებელში შეგირდებს არაფერი რჩებათ გასავლელი; ყოველ შემთხვევაში, უმაღლეს დეწყებითი სასწავლებელი მათთვის საჭირო აღარ არის **X.**

თბილისი. სტუდენტთა სასადილოს ახალმა გამგემ, ამავე სასადილოს წინ, დღეს საღამოს ხუთ საათზე სასიკვდილოთ დასჭრა ის ვერაგი ვირთხა, რომელსაც სტუდენტთა სასადილოდან გაუტაცნია რამოდენიმე ათასი მანეთი, 103 ბოთლი „საერო“, 50 პაჩკა სანთელი, 2 ფუთი ბრინჯი და სხვა მრავალი რამ. იმედი აქვთ, რომ მალე მის დამხმარეებლის შემწყობთაც შეიპყრობენ.

ქერა.

ამხ. რედაქტორო!

ჩვენი პატივცემული ჟურნალის „ეშმაკის მათრახის“ № 9 დაიბეჭდა ბათუმიდან გამოგზავნილი დეპეშა, რომელმაც ძალზე აღელვა ბატონი ნიკო თუხარელი. ბ-ნი თუხარელი ავრცელებს ხმებს რკინის გზის ადმინისტრაციის წინაშე, ვითომც დეპეშის ავტორი მე ვიყვე—გთხოვთ დამიმოწმოთ, რომ ზემოხსენებული დეპეშის ავტორი მე არა ვარ და ამით ამაცილოთ როგორც ქუჩური მითქმა-მოთქმა თუხარელისა, ისე წყრომა ბ-ნ ყაზახაშვილისა*).

ივანე ი. ბარამიძე.

*) „ეშმაკის მათრახის“ რედაქცია ამით ამოწმებს, რომ აღნიშნულ ცნობის ავტორი სრულიად სხვა პირია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩ ი გ ი ლ ი.

ოჰ ღმერთო ჩემო! (ანუ ეშმაკად თვით წოდებულო)
ჯოჯოხეთშიგან მართლმსაჯულებით მკაცრო ქებულო!
გთხოვ მოისმინოთ ეგ საჩივარი და ჩემი აჯაც
გული არ მიცემს, უმართლო ტანჯვით დადუმდა მაჯაც.
როგორ იკარგვის ეგზომ საპირო „მუზათ-გენია"
თვითონ განსაჯეთ ჩემგან რა მძიმე მ ისათმენია,
მთელი ეს კრება ჩემ ოჯახში მუდამ მყოფელი
(„ბოშო დარეჯანც" ჭირში და ლხინშიც განუყოფელი)
ჩამჩიჩინ ბენ: „უნდა დატოვო აგი წერაო—
შენი ნაჯლაბნით ვერ აშენდება ჩვენი კერაო".
დალოცვილები ნავთს და შეშასაც კი მამადლიან,
ამ ჩემს ნაოფლარს (წარმოიდგინეთ) თავისად სთვლიან.
სმენამ და გრძნობამ ამის გაძლება თუ კი ინება
ამსა მეათეს ამათ სულ ერთად ჩაეძინება
და ესეც არის ისმის გარშემო სულთქმა და „ვიში",
ვსწერ და მაწუხებს გამოლვიძების ამათის შიში:
თქვენც ნულარ მირჩევთ ასეთ ყოფაში სიცოცხლე ღირდეს,
მივმართო სიკვდილს? იქნება ადრეც, არ გაგიკვირდეს!
მით უფრო რადგან „ნაწერის" ჩემის გახდა ჯალათი,
ჩემგან უცნობი სარედაქციო თქვენი კალათი*)
სჩანს ყველა მებრძვის შიგნით და გარეთ დიდი და მცირე
გავმაგრებოდი ირგვლივ მოსევას მეც დავაპირე,
მაგრამ უსწორო, უმართლო ბრძოლამ დამაძაბუნა:
ახლო ნახვამდის, ჩემო ეშმაკო, შენ და თაგუნა!

ბუტუნა.

---

*) სარედაქციო კალათს ეკითხეთ „მათრახისასა"
კოხტათ დანაწნავს მართულისაგან (არა ხისასა)
— ხედავ ძმობილო, ბუტუნასგან ხარ ბრალდებული,
გვითხარი: იყო მისი ლექსი აქ ჩადებული?
და თუ ჩავარდა, რას აწერდა მას სათაურსა,
ხომ იცი, ბედი სად გა ტყორცნის ძმავ სადაურსა?
კალათას გული აუჩუყდა! ცრემლით ინამა.
(უმართლო ეკვზე ცრემლი იცის თითონ რკინამა).
— ეშმაკსა ვფიცავ და თაგუნას, ამგვარი მკვდარი
მე არ შენახოს ჩემს წიალში ჩამონაბარი.
შენ ხომ სხვაცა გაქვს სასაფლაო,— „კრემატორია".
შენი ბუხარი რითი თბება, მითხარ სწორია...
იქნებ იქ დასწვით და თქვენა გსურთ მე დამაბრალოთ,
და თუ ასეა დე, ვიტანჯო თქვენთვის უბრალოთ.
მიველ და ვკითხე:—საყვარელო ჩემო ბუხარო,
საქმე დაგვბრალდა საშიშარი და სამწუხარო,
ბუტუნას ლექსი დაკარგულა რედაქციაში,
მითხარი, ჩემო, თუ მოვიდა ის შენს წიალში.
ბუხარმა ტკბილათ, ძველებურათ ჩაიგუგუნა;
— პირველად მესმის, ეშმაკს ვფიცავ, თქვენი ბუტუნა.
მე ჯერ ამგვარი არ მწვეია, ლექსთა მწერალი...
ვისი სიტყვაა, აღარ ვიცი დასაჯერალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლასი და იდეოლოგი.

ბურჟუაზია. შესანიშნავია, საუცხოოა,! პირდაპირ რსაკვირველია, საიდან მოგდით თავში ასეთი ბრწყინვალე აზრები.

ბურჟუაზიის იდეოლოგი. აბა რას ბძანებთ, ბატონო? განა შეიძლება ჩვენი აზრების შედარება ი საუცხოო მწვადებთან რომლებსაც თქვენ იძლევით?

შემდეგი ნომრიდან „ეშმაკის მათრახი“ ელირება--ცალი 10 მანეთად.

სახელმწიფო სტამბა.